ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №61

30.06.2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჟორჟოლიანი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ზექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ჯაბა ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. **ქვარა ჩართოლანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა გაიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 15 ივნისის №12-032016791-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის წარმომადგენელი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 16 ივნისის №16-03201683-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის წარმომადგენელი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 18 ივნისის №12-032017048-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის წარმომადგენელი/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 18 ივნისის №12-032017049-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების
სამსახურის წარმომადგენელი/

5. მიმდინარე საკითხები:

5.1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 29 ივნისის №12-032018169-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების
სამსახურის წარმომადგენელი/

5.2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 28 მაისის №12-032014984-03 წერილი - დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული მე-4 წინადადება (№01200911452 განცხადება)) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების
სამსახურის წარმომადგენელი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 15 ივნისის №12-032016791-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქვარა ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანის) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტილებით, რიგ შემთხვევაში, იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზონის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.592.752 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით წარმოდგენილია 1 წინადადება - №01200292031-67.

ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01200292031-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.05.678) მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 603 კვ.მ.).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105

დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით №81.01.05.678 საკადასტრო ერთეულზე სრულად ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ასევე, ტერიტორია მოქცეულია განაშენიანების კონტურში. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ განაშენიანების კონტურში მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე უმეტესად ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №01200354204 წერილის მიხედვით, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის, კერძოდ, სატყეო ზონის ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1).

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა **გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 15 ივნისის **№12-032016791-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01200292031-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და **რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 15 ივნისის **№12-032016791-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის **№39-18** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01200292031-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 16 ივნისის №16-03201683-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქვარა ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 10 ივნისის №20.594.749 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №0120135708-67, №0120135718-67, №01192902564-67, №01201491714-67, №01201573638-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №0120135708-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, მუხათგვერდის სასაფლაოზე არსებულ №01.72.14.093.983 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე მოთხოვნილია სპეციალური ზონა 2-ის (სპეცზ-2) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონით (ლსზ) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 1932 კვ.მ.).

ტერიტორია არის აქტიურად გამწვანებული და მითითებულ ნაწილში არსებობს მრავალწლოვანი მუხის ჯიშის ხეები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 29 მაისის №01291501038 წერილის თანახმად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №0120135718-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.35.078) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 მაისის №16-0120149995 წერილის თანახმად, მიწის ნაკვეთზე არსებული სატრანსპორტო

ზონა ფაქტობრივად არ წარმოადგენს გზას. შესაბამისად, მისი ცვლილებით არ გაუქმდება მიმდებარედ არსებულ საკადასტრო მონაკვეთამდე მისასვლელი გზა. ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

სოფელ შინდისში არსებულ №81.02.35.078 საკადასტრო ერთეულსა და №81.02.35.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე გამავალი სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ფაქტობრივად არ არის დატვირთული სატრანსპორტო ფუნქციით და წარმოადგენს ხარვეზს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ შინდისში არსებულ №81.02.35.078 საკადასტრო ერთეულსა და №81.02.35.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 469 კვ.მ.) მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01192902564-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვეზიროვის ქუჩა №4-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.04.006.020) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 51 კვ.მ.).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 25 დეკემბრის №01193592421 წერილის თანახმად, ზემოაღნიშნული არეალი (საკადასტრო კოდი: №01.18.04.006.020-ის ნაწილი) ფაქტობრივი მდგომარეობით არ ითავსებს გზის (სატრანსპორტო) ფუნქციას. შესაბამისად, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, აღნიშნული ტერიტორიის ნაწილზე გაუქმდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01201491714-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა №5-6-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.06.008.006; №01.13.06.008.077; №01.13.06.008.075; №01.13.06.008.082, №01.13.08.008.081, №01.13.06.008.038, №01.13.06.008.036, №01.13.06.008.022, №01.13.06.008.035, №01.13.06.008.079) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-თ (სზ-6) ცვლილება (ცვლილების ფართობი: 10 435 კვ.მ.).

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ფიქსირდება შემდეგი ფუნქციური ზონები: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). შესაბამისად, მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის გაჩენა არ იქნება ამოვარდნილი მიმდებარედ არსებული განაშენიანებიდან.

შეკითხვა დასვეს:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ. დავითულიანმა და ბ-ნმა რ. სოხაძემ - საპროექტო ტერიტორიის ფართობის (10 435 კვ.მ.) გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ამას გარდა, №01201491714-67 განცხადებით მოთხოვნილ წინადადებასთან დაკავშირებით, კომისიის წევრების მიერ მოთხოვნილი იქნა დამატებითი ინფორმაცია (დასაბუთება) ფუნქციური ზონის ცვლილების განხორციელების შემთხვევაში ტერიტორიის შემდგომი განვითარების თაობაზე. მოთხოვნილი ინფორმაციის (დასაბუთების) წარდგენა მომხსენებელმა ვერ უზრუნველყო.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა ბ. დავითულიანმა და ბ-ნმა რ. სოხაძემ - დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე №01201491714-67 განცხადების განხილვის გადადების შესახებ.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №01201573638-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.01.02.863, №81.01.02.862) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) გავრცელება.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №0120135708-67, №0120135718-67, №01192902564-67, №01201573638-67 განცხადებებთან (სულ: 4 განცხადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. გადადებულ იქნას №01201491714-67 განცხადებით მოთხოვნილი, ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა №5-6-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.06.008.006; №01.13.06.008.077; №01.13.06.008.075; №01.13.06.008.082, №01.13.08.008.081, №01.13.06.008.038, №01.13.06.008.036, №01.13.06.008.022, №01.13.06.008.035, №01.13.06.008.079) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-თ (სზ-6) ცვლილების (ცვლილების ფართობი: 10 435 კვ.მ.) საკითხის განხილვა, დამატებითი შესწავლის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 16 ივნისის №16-03201683-03 **წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №0120135708-67, №0120135718-67, №01192902564-67, №01201573638-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას** №01201491714-67 **განცხადებით** მოთხოვნილი, ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა №5-6-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.06.008.006; №01.13.06.008.077; №01.13.06.008.075; №01.13.06.008.082, №01.13.08.008.081, №01.13.06.008.038, №01.13.06.008.036, №01.13.06.008.022, №01.13.06.008.035, №01.13.06.008.079) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-თ (სზ-6) ცვლილების (ცვლილების ფართობი: 10 435 კვ.მ.) საკითხის განხილვა, **დამატებითი შესწავლის მიზნით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 16 ივნისის №16-03201683-03 **წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №0120135708-67, №0120135718-67, №01192902564-67, №01201573638-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 18 ივნისის №12-032017048-03 წერილი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქვარა ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტილებით, რიგ შემთხვევაში, იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზონის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 17 ივნისის №20.622.783 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით წარმოდგენილია 3 წინადადება - №01193321232-67, №01201421712-67, №01200384110-67 .

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №01193321232-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მარო მაყაშვილის I შესახვევიში, №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.02.03.401) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 25 დეკემბრის №01193592432 წერილის მიხედვით, ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კერძო საკუთრებას და ინტერაქტიული რუკითა და წარმოდგენილი ფოტოფიქსაციით საპროექტო ტერიტორიაზე მწვანე ნარგავები არ ფიქსირდება, სამსახური თანახმაა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით, იმისთვის, რომ არ მოხდეს ფუნქციური ზონის ფრაგმენტული ცვლილება, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) იცვლება სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) მიმდებარედ არსებულ №81.02.29.186, №81.02.03.433, №81.02.03.428, №81.02.03.791, №81.02.98.533 და №81.02.03.788 საკადასტრო ერთეულებზეც.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, №81.02.03.401, №81.02.29.186, №81.02.03.433, №81.02.03.428, №81.02.03.791, №81.02.98.533 და №81.02.03.788 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.03.401, №81.02.29.186, №81.02.03.433, №81.02.03.428, №81.02.03.791, №81.02.98.533 და №81.02.03.788) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) ცვლილება მისაღებია.

ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორტიების რუკით შემოთავაზებული სარეკრაციო ზონა 1 (რზ-1).

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01201421712-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ასათიანის ქუჩა №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.165) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 2 ივნისის №01201542448 წერილის მიხედვით, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

№01201421712-67 განცხადებით მოთხოვნილ წინადადებასთან დაკავშირებით, კომისიის წევრების მიერ მოთხოვნილი იქნა დამატებითი ინფორმაცია (დასაბუთება) ფუნქციური ზონის ცვლილების განხორციელების შემთხვევაში ტერიტორიის შემდგომი განვითარების

თაობაზე. მოთხოვნილი ინფორმაციის (დასაბუთების) წარდგენა მომხსენებელმა ვერ უზრუნველყო.

აზრი გამოთქვა:

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ - დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, №01201421712-67 განცხადების განხილვის გადადების შესახებ.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01200384110-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება-3, IV მიკრორაიონი, კორპუსი 403-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.37.017.016, №01.19.37.017.017) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, №01.19.37.017.016, №01.19.37.017.017 საკადასტრო ერთეულებზე სრულად ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 21 თებერვლის №01200523943 წერილის მიხედვით, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის, რადგანაც მოცემულ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია სატრანსპორტო ზონის ფუნქცია.

ტერიტორიაზე შეთანხმებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, რომლის მიხედვითაც არსებული და გათვალისწინებული ფუნქციები შეესაბამება ფუნქციური ზონის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) სახეობებს.

შესაბამისად, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს ხარვეზს.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01193321232-67, №01200384110-67 განცხადებებთან (სულ: 2 განაცხადი) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **გადადებულ იქნას** №01201421712-67 **განცხადებით** მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ასათიანის ქუჩა №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.165) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნის საკითხის განხილვა **დამატებითი შესწავლის მიზნით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 18 ივნისის №12-032017048-03 **წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01193321232-67, №01200384110-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას** №01201421712-67 **განცხადებით** მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ასათიანის ქუჩა №17-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.165) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნის საკითხის განხილვა **დამატებითი შესწავლის მიზნით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 18 ივნისის №12-032017048-03 **წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01193321232-67, №01200384110-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 18 ივნისის №12-032017049-03 წერილი)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქვარა ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 17 ივნისის №20.620.777 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 13 წინადადება - №0120136628-67, №01200571618-67, №01200694873-67, №0120101754-67, №012008121-67, №01201534157-67, №0119317884-67(№01200501781-67), №01193583020-67, №0120086519-67, №67-01201632919(№01200554158-67), №67-01201632920(№01200761-67), №01201623406-67, №01201632974-67).

- **განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №0120136628-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.03.011.004) მოთხოვნილია სატყეო ზონის სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილება.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 2 ივნისის №01201542632 წერილის თანახმად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება სასაფლაოს მოწყობის მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით, გზის ლოგიკური კავშირის შენარჩუნებისა და ასევე, ზონის არეალის ფრაგმენტაციის

აცილების მიზნით, №01.16.03.011.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ცვლილებას ასევე ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონაც.

№0120136628-67 განცხადებით მოთხოვნილ წინადადებასთან დაკავშირებით, კომისიის წევრების მიერ მოთხოვნილი იქნა დაზუსტებული ინფორმაცია (დასაბუთება) ფუნქციური ზონის ცვლილების განხორციელების თაობაზე. დაზუსტებული ინფორმაციის (დასაბუთების) წარდგენა მომხსენებელმა ვერ უზრუნველყო.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს №0120136628-67 განცხადების განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01200571618-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.002.013, №01.17.11.002.011, №01.17.11.004.033) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება და ძირითადი რუკით არსებული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 1-ლი ივნისის №01201532207 წერილის თანახმად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა. ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად დარჩენილი ხარვეზის გასწორების მიზნით, აღნიშნული ცვლილება მოიცავს ასევე მომიჯნავედ მდებარე №01.17.11.002.017, №01.17.11.004.032, №01.17.11.004.036, №01.17.11.004.034, №01.17.11.002.018 საკადასტრო ერთეულებსაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №10-ში მდებარე ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.002.013, №01.17.11.002.011, №01.17.11.004.033, №01.17.11.002.017, №01.17.11.004.032, №01.17.11.004.036, №01.17.11.004.034, №01.17.11.002.018) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა და ძირითადი რუკით არსებული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) გავრცელება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01200694873-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვასო გოძიაშვილის ქუჩა №44-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.019.003) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 18 მარტის №01200781841 წერილის თანახმად, სამსახური თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიას გააჩნია სატრანსპორტო მისასვლელი გზა და ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მოქცეულია განაშენიანების კონტურში.

საპროექტო ტერიტორიის დასავლეთ ნაწილზე, სადაც ვრცელდება სატყეო ზონა, ვრცელდება მაღალი საშიშროების მქონე გეოდინამიკური საფრთხეები არეალი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვასო გოძიაშვილის ქუჩა №44-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.019.003) ნაწილზე სატყეო ზონის სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ ნაწილზე არ განხორციელდება მასიური მშენებლობა და დაცული იქნება უსაფრთხოების ზომები.

ცვლილებას ასევე ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სატყეო ზონაც.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა - საპროექტო ტერიტორიაზე, სადაც ვრცელდება სატყეო ზონა, მაღალი ინტენსივობის საშიშროების მქონე გეოდინამიკური არეალის გამო, ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, აღნიშნული ტერიტორიის სამშენებლოდ გამოყენების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ბ-ნი გ. დოხტურიშვილის დასმულ შეკითხვაზე მომხსენებლის **მიერ გაცემული პასუხის თანახმად,** ფუნქციური ზონის ცვლილების სტადიაზე, წარმოდგენილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია, რომლის მიხედვით, არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.10.019.003) ნაწილზე სატყეო ზონის სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ ნაწილზე არ განხორციელდება მასიური მშენებლობა და დაცული იქნება უსაფრთხოების ზომები. მშენებლობის ნებართვისა და სამშენებლო პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სსიპ - არქიტექტურის საქალაქო სამსახური, გარემოს დაცვის პოზიციის გათვალისწინებით და ასევე, შესაბამისი უფლებამოსილი და კვალიფიციური ორგანოს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სამშენებლო პროექტის შეთანხმების თაობაზე.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №0120101754-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილი-3, IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.30.005.024, ნაკვეთი №14/429) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 1-ლი აპრილის №0120092346 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ფენა.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №012008121-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, II მიკრორაიონში, №45ა; ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, II მიკრორაიონში, №45ა-ს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.011.070) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის მოხსნა და ძირითადი რუკით განსაზღვრული საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 24 დეკემბრის №01193582232 წერილის თანახმად, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთებზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - №01201534157-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.217, №01.11.05.029.216, №01.11.05.029.179, №01.11.05.029.225, №01.11.05.029.356, №01.11.05.029.276, №01.11.05.029.277, №01.11.05.029.274 და მიმდებარე ტერიტორიაზე) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქ. №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №484 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.217, №01.11.05.029.216, №01.11.05.029.179, №01.11.05.029.225, №01.11.05.029.356, №01.11.05.029.276,

№01.11.05.029.277, №01.11.05.029.274 და მიმდებარე ტერიტორიაზე) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - №0119317884-67(№01200501781-67) განცხადებით, ბეთლემის ჩიხი №4/5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.072.051) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 28 თებერვლის №01200594200 წერილის მიხედვით, მოცემული მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენს სატრანსპორტო ფუნქციით დატვირთულ ტერიტორიას და არც სამომავლოდ იგეგმება მისი სატრანსპორტო დანიშნულებით გამოყენება. შესაბამისად, სამსახური მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

გზის ლოკალური კონტურის შეკვრისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით №01.18.03.072.111, №01.18.03.072.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

№0119317884-67(№01200501781-67) განცხადებით მოთხოვნილ წინადადებასთან დაკავშირებით, კომისიის წევრების მიერ მოთხოვნილი იქნა დამატებითი ინფორმაცია (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს რეკომენდაცია) ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე. მოთხოვნილი ინფორმაციის (დასაბუთების) წარდგენა მომხსენებელმა ვერ უზრუნველყო.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს №0119317884-67(№01200501781-67) **განცხადების** განხილვის გადადება დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.

- განმარტებითი ბარათის „თ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - №01193583020-67 **განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ხევმმარის №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.022.023) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ №01.11.12.022.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება ფუნქციური ზონა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ისთვის (სსზ-1) (საოფისე, დამხმარე შენობები) დამახასიათებელი დაბალი ინტენსივობის შენობა-ნაგებობები.

მასშტაბური მსჯელობის საფუძველზე, ასევე იმისთვის, რომ არ განხორციელდეს ფრაგმენტული სახით ფუნქციური ზონის ცვლილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ტერიტორიის სრულად საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) ფუნქციით განვითარება. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით ხორციელდება №01.11.12.022.020, №01.11.12.022.029, №01.11.12.022.004, №01.11.12.022.019 და მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2), სატრანსპორტო ზონა 2-ის (ტზ-2) და სარეკრაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 9 ივნისის №18-01201613411 წერილის მიხედვით, გამომდინარე იქიდან, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოდგენილ საკადასტრო ერთეულებზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენა.

ცვლილებას ასევე ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - №0120086519-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ჯურხა ნადირაძის ქუჩა №6ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.029.107) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ცვლილება და ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 2 აპრილის №0120093700 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

- განმარტებითი ბარათის „კ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - №67-01201632919(№01200554158-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.014.080) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.014.080) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის №133 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კრწანისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.014.080) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ლ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-11 პუნქტი) - №67-01201632920(№01200761-67) განცხადებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.013.193) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი III, კვარტალი III, წყალსაცავის ტერიტორიის მიმდებარედ, კორპუსი №1-2-4-ის მიმდებარე, ქალაქი თბილისი, ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.013.193) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის №136 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს დ სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.02.013.193) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „მ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-12 პუნქტი) - №01201623406-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, I მიკრორაიონში, №15-ის მიმდებარედ (ნაკვეთი: №21/005); ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, I მიკრორაიონში, ნაკვეთი №21/16-ის მიმდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.07.021.021) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური გამწვანების) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 29 მაისის №18-01201501048 წერილის თანახმად, სამსახური, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით, მიმდებარედ არსებულ №01.17.07.021.027 საკადასტრო ერთეულის ნაწილზეც იხსნება გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა, ვინაიდან აღნიშული წარმოადგენს რუკის ხარვეზს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, I მიკრორაიონში, №15-ის მიმდებარედ (ნაკვეთი: №21/005); ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, I მიკრორაიონში, ნაკვეთი №21/16-ის მიმდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.07.021.021) ნაწილზე და მიმდებარედ არსებული №01.17.07.021.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანების (შიდაკვარტალური გამწვანების) მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ნ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-13 პუნქტი) - №01201632974-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №39-ში, ქალაქ თბილისში, აბოვიანის ქუჩა №16-ში, ქალაქ თბილისში, ხანძთელის ქუჩა (ყოფილი მიასნიკოვის ქუჩა) №26/14-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.048.035) ნაწილზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 თებერვლის №ბ01.012004616 ბრძანებით გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება აღნიშნულ ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობის მიზნით.

დაბალი ინტენსივობის სასტუმროს მშენებლობა არ გადატვირთავს მიმდებarე ქუჩებს და არ იქნება ამოვარდნილი არსებული განაშენიანებიდან.

ტერიტორიას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), დასავლეთიდან - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით, ფაქტობრივ მდგომარეობაზე მორგების და ზონის ფრაგმენტაციის აცილების მიზნით, №01.18.03.048.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხორციელდება საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №39-ში, ქალაქ თბილისში, აბოვიანის ქუჩა №16-ში, ქალაქ თბილისში, ხანძთელის ქუჩა (ყოფილი მიასნიკოვის ქუჩა) №26/14-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.048.035) ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) და ასევე, ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ

ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **გადადებულ იქნას** დამატებითი შესწავლის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე:

   1) №0120136628-67 განცხადებით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.03.011.004) სატყეო ზონის სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილების საკითხის განხილვა;

   2) №0119317884-67(№01200501781-67) განცხადებით მოთხოვნილი ბეთლემის ჩიხი №4/5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.072.051) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხის განხილვა.

2. **დადებითად შეფასდეს** და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 18 ივნისის №12-032017049-03 **წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 11 წინადადება - №01200571618-67, №01200694873-67, №0120101754-67, №012008121-67, №01201534157-67, №01193583020-67, №0120086519-67, №67-01201632919(№01200554158-67), №67-01201632920(№01200761-67), №01201623406-67, №01201632974-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას** დამატებითი შესწავლის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე:

1) №0120136628-67 განცხადებით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.16.03.011.004) სატყეო ზონის სპეციალური ზონა 2-ით (სპეცზ-2) ცვლილების საკითხის განხილვა;

2) №0119317884-67(№01200501781-67) განცხადებით მოთხოვნილი ბეთლემის ჩიხი №4/5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.072.051) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების საკითხის განხილვა.

2. დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 18 ივნისის №12-032017049-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 11 წინადადება - №01200571618-67, №01200694873-67, №0120101754-67, №012008121-67, №01201534157-67, №01193583020-67, №0120086519-67, №67-01201632919(№01200554158-67), №67-01201632920(№01200761-67), №01201623406-67, №01201632974-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე (მიმდინარე) საკითხები:

5.1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 29 ივნისის №12-032018169-03 წერილი)

დღის წესრიგის მეხუთე (მიმდინარე) საკითხი (5.1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 29 ივნისის №12-032018169-03 წერილი) წარმოადგინა ქ-ნმა ქვარა ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და

სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 24 ივნისის №20.658.820 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №01200162183-67, №01201601779-67, №01200792068-67, №012014813-67, №0120077887-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №01200162183-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, მუხათგვერდის სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.005.386, №01.72.14.005.455) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა 2 (ს-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №01200354325 წერილის თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ ინტერაქტიული რუკის შესაბამისად საპროექტო მიწის ნაკვეთების ძირითად ნაწილზე არ ფიქსირდება მწვანე ნარგავები და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით №01.72.14.005.386 საკადასტრო ერთეულზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

გარდა ამისა, იმისთვის, რომ სამომავლოდ ტერიტორია სწორად განვითარდეს და ადგილი არ ჰქონდეს ფრაგმენტულ ცვლილებას, ქალაქ თბილისის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით, №01.72.14.005.386, №01.72.14.005.455 საკადასტრო მიწის ნაკვეთების მიმდებარედ არსებულ №01.72.14.005.456 საკადასტრო მიწის ნაკვეთზეც იცვლება სარეკრეაციო ზონა (რზ) სამრეწველო ზონა 2-ით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მუხათგვერდის სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.005.386, №01.72.14.005.455, №01.72.14.005.456) სარეკრეაციო ზონის (რზ) სამრეწველო ზონა 2-ით ცვლილება მისაღებია.

ცვლილებას ასევე ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონაც.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01201601779-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩა, I კვარტალი, №5ბ; ქალაქ თბილისში, მეგობრობის ქუჩა №44-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.633) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის (სზ), სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) და სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 ივნისის №01201623286 და 19 ივნისის №01201712931 წერილების თანახმად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სარეკრეციო ზონა 3-ით (რზ-3) და საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 19 ივნისის №16-01201713103 წერილის თანახმად, კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01200792068-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ვეფხისტყაოსნის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.035.762; №01.72.14.035.761) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, №01.72.14.035.762; №01.72.14.035.761 საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სზ-1).

გარდა ზემოაღნიშნულისა, №01.72.14.035.762; №01.72.14.035.761 საკადასტრო მიწის ნაკვეთების მიმდებარედ ფიქსირდება მაღალი ინტენსივობის განაშენიანება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, №01.72.14.035.762; №01.72.14.035.761 საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №012014813-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №134-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:

№01.19.36.012.030) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

აღნიშნული ტერიტორია ხასიათდება მაღალი ინტენსივობის განაშენიანებით.

№012014813-67 განცხადებასთან დაკავშირებით, დამატებითი ინფორმაცია (ინტერაქტიულ რუკაზე - www.tas.ge საკადასტრო მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი მასალის ჩვენება) მოითხოვა ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა.

მომხსენებელმა (ქ. ჩართოლანი) უზრუნველყო მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №0120077887-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ექვთიმე თაყაიშვილის III ჩიხი, №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.021.427) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 19 მარტის №16-0120079555 წერილის თანახმად, ვინაიდან აღნიშნული მიწის ნაკვეთი მოქცეულია ერთიან საზღვრებში, რომელსაც ფაქტობრივი მდგომარეობით არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, წინააღმდეგი არ არის გაუქმდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის რეკომენდაციით, №01.72.14.021.427 საკადასტრო ერთეულის მომიჯნავედ არსებულ №01.72.14.021.125 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე დარჩენილი სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ასევე იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, ექვთიმე თაყაიშვილის III ჩიხი, №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.72.14.021.427, №01.72.14.021.125) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200162183-67, №01201601779-67, №01200792068-67, №012014813-67, №0120077887-67 განცხადებებთან (სულ: 5 განცხადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 29 ივნისის **№12-032018169-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის

15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01200162183-67, №01201601779-67, №01200792068-67, №012014813-67, №0120077887-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 29 ივნისის №12-032018169-03 **წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01200162183-67, №01201601779-67, №01200792068-67, №012014813-67, №0120077887-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

დღის წესრიგის მეხუთე (მიმდინარე) საკითხი (5.2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 28 მაისის №12-032014984-03 წერილი - დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული მე-4 წინადადება (№01200911452 განცხადება)) წარმოადგინა ქ-ნმა ქვარა ჩართოლანმა.

2020 წლის 9 ივნისს გამართულ კომისიის სხდომაზე (ოქმი №59) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.465) სატყეო და სარეკრეაციო ზონის (სზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილების საკითხი (განცხადება №01200911452-67).

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, №01.72.14.006.465 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე გავრცელებული იყო სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა (სზ). უფლებამოსილი კანონიერი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, მიზანშეწონილია №01.72.14.006.465 საკადასტრო ტერიტორიაზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება. აგრეთვე, ფრაგმენტული სახით ფუნქციური ზონის ცვლილების აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, №01.72.14.006.465 საკადასტრო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებსაც დაუბრუნდეს სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) (ცვლილების დაზუსტებული ფართობი: 22113 კვ.მ.).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200911452-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 28 მაისის **№12-032014984-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანდართული ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 27 მაისის №20.534.695 განკარგულების „დ" პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „4" პუნქტით) გათვალისწინებული №01200911452-67 განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 28 მაისის №12-032014984-03 **წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თანდართული ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 27 მაისის №20.534.695 განკარგულების „დ“ პუნქტით (თანდართული ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „4“ პუნქტით) გათვალისწინებული №01200911452-67 განცხადების (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი